# სახალხო გაზეთი

№ 538 ხუთშაბათი, 1 მარტი, 1912 წ. № 538

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე ბინან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოთ 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; რედაქცია ინახავს მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

**სურათებიანი დამატება**

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს **გრდემლს.**

1 მარტიდან წლის ბოლომდე ღირს 7 მ. 50 კ.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.



**მარიამ სიმონის ასული, იოსებ იაკობის ძე, თამარა იოსების ასული, მირიან იოსების ძე ქაჩუხაშვილები და ეფემია, ევგენია, კონსტანცია სიმონის ასულნი და ბაგრატ სიმონის ძე მეფისაშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობრებს

**გიორგი იოსების ძის ქაჩუხაშვილის**

უდროოდ გარდაცვალებას. მიცვალებულს გამოასვენებენ კერძო სამკურნალოდან (სოლოლაკი, რტიშჩევის ქუჩა, № 13), რკინის გზის სადგურზე, დღეს, შუადღის 12 საათზე და იქიდან 3 საათზე ახალციხეს წაასვენებენ. (1.264.1)



**გამოვიდა და იყიდება**
ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

**წიგნის მაღაზიაში**

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების
**სალიტერატურო კრებული**

**გრდემლი**

ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.19)



**ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოება**

აცხადებს, რომ სალიტერატურო კრებულ „გრდემლის“ მეორე წიგნისთვის

**მასალები მიიღება მარტის ბოლომდე.**

კრებულის გამოცემა განზრახულია სამაისოდ.
მისამართი: ოლგის ქუჩის შესახვ. № 5—გ. რცხილაძეს. (10.1124.7)



**ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოება**

✦ შეუდგა ბესარიონ გაბაშვილის ბესიკის თხზულებათა ✦ გამოცემას. წიგნი სივრცით 200 გვერდამდე იქნება და გამოვა წაალდგომევს, წინასწარის ხელის-მოწერით წიგნი ღირს 40 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება მხოლოდ წიგნის გამოსვლამდე 1) წერა-კითხვის საზოგადოების ტფილისის წიგნის მაღაზიებში და 2) „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში. წიგნის გამოსვლის შემდეგ ფასი მომატებული იქნება. (20—1125—7)



**ტფილისის კერძო სამკურნალო**

**ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
**მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.

**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.

**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.

**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann-რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—281)



**სახაზინო თეატრი**

პარასკევს 2 და შაბათს 3 მარტს 1912 წ.

**პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი** **პ. ს. კოგანი**

წაიკითხავს ორს ლექციას: პარასკევს, 2 მარტს **პირველი ლექცია:**

**ქალთა საკითხი**

საზღვარ-გარეთისა და ჩვენს მწერლობაში. **1.** ქალთა გამოსვლა საფრანგეთში მე-18 საუკ. დასასრულს. ქალთა ემანსიპაციის მომხრენი და მოწინააღმდეგენი კონდარსე, ოლიმპია დე-გუჟ. **2.** სამრეწველო ცვლილებათა და სამეცნიერო ცოდნათა განვითარების გავლენა ქალთა მოძრაობაზე. ჟორჟ ზანდი, ბალზაკი და მისი „ოცდაათის წლის დედა-კაცი“ **3.** მოდერნიზმი და ქალი. იბსენი. მეტერლინკი და ფშიბიშევსკი. **4.** სოციალიზმი და დედა-კაცი. **5.** დედაკაცის მდგომარეობა დღეს დასავლეთსა და რუსეთში. **6.** რუსეთის მწერლობა და დედა-კაცი. ტურგენევი და ტოლსტოი. მწერალ ქალთა საკითხი: ნეკრასოვის დედაკაცები. **7.** დედა-კაცი თანამედროვე რუს. მწერლობაში. **8.** ქორწინების საკითხი და ბავშვთა აღზრდა. **9.** მომავლის პერსპექტივა.

შაბათს 3 მარტს **მეორე და უკანასკნელი ლექცია: ჰამლეტი**

და მისი დადგმა სამხატვრო ძველსა და ახალ თეატრებში საზოგადოდ. „ახალი“ თეატრი. რა მიზანი დაისახა წინანდელ თეატრთან შედარებით. დრამა უმოქმედოდ და მოქმედება დრამაში. შინაგანი დრამა, სტილიზაცია. ჩეხოვის მიერ მოხდენილი სათეატრო რეფორმა. მოდერნიზმი და თეატრი. ფშიბიშევსკისა და მეტერლინკის აზრი თეატრზე. სამხატვრო თეატრმა სად მიატოვა ზეშთაგონება და რად მიჰმართა კლასიკურ რეპერტუარს, და დასდგა: „ვაი ჭკუისაგან“ „რევიზორი“ „ჰამლეტი“ „პატარა“ მსახიობზე, „პატარა“ რეჟისორზე და „დიდებულ“ საზოგადოებაზე. რა არის ჰამლეტი და მისი აზროვნება. რად იწვევს ასეთს დაუსრულებელს განმარტებას. გიოტეს მიერ მოხდენილი ცვლილება ჰამლეტის გაგებაში. დანიის პრინცის პიროვნებაზე დაკისრებულ საკითხის აზრი და მისი წარმოშობის მიზეზები. რომელ ხანაში ახლდება ხოლმე ინტერესი. „ჰამლეტი“ და „მუდმივ“ ტიპთა მიმართ. რას მოასწავებს ამ პიესის დადგმა. მწერლობისა და თეატრის მახლობელი მომავალი. შექსპირი, ტოლსტოი და მათის დავლურის მნიშვნელობა.

ადგილების ფასი დაკლებულია. საშეგირდო ბილეთი 50 კ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე და საღამოს 6—წარმოდგენის დასრულებამდე.

**ანონსი** 23 და 27 თებერვალს ლექციები ბაქოში, 28 თებერვალს—განჯაში, 29 თებ. და 1 მარტს—ქუთაისში. 5.1115.3



**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ. 100—1534—102)



**საგურთალოზე**

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 247)



**სამკურნალო**

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდ ქუჩაზე, № 23. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**ბოჟოვსკი.** ორშ., ოთხშ., პარასკ., კვირ. 4—5 საათ.

**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყოველ დღე 9½ სათ. 11 ს.

**მონსე.** ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ორშაბ., ოთხშაბ., პარასკ. 1½—3 საათ.

**ნოვიცკი.** ქალთა ავადმყ., ყოველ დღე 1—2 საათ.

**კალამკაროვი.** ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12—1 სათ.

**გრეიცი.** თვალისა, 1—2 საათამდე.

**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

**რიდელი.** შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროთერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—1 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია.** ყელისა, ყურისა, ცხვირ. ყოველ დღ. 11—12 ს.

**რუდენკო.** შინაგ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

**ტერ-ნერსესოვი.** ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

**იოსელიანისა** ქალთა ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

**ბაგდოევისა,** კბილ. ყოველ დღე 3—5 ს.

**ლიმონი.** კბილ. 10—1 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის თაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსარის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (თ. 1032—57).



**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**. ბა. ჭოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა 606 -**

(წლ. 1090 284)



**გამოცდილმა მასწავლებელმა**

**ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა** მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის. **აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო** და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

**იღებს პირობებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (не далеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.100)



**დოქტორი მედიცინისა**

**ი. ე. თიკანაძე**

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 116)



**მოსკოვის კომერციულ ინსტიტუტის სტუდენტი** (რეალურ სასწავლებელში კურს-დასრულებული).

**განსაკუთრებით მათემატიკაში**

ამზადებს საშუალო სასწავლებლების ყველა კლასის მოწაფეს.

წყნეთის ქ., № 29. (3—262—1)



**გამოვიდა**

**სიმონ ქვარიანის** ახალი თხზულება:

**„ქართველი ერის ტრაგედია მე-17-ტე საუკუნეში“**

**(გიორგი სააკაძე და მისი დრო)**

გიორგი სააკაძის სურათით;

**ფასი ორი აბაზი.**

იყიდება **ტფილისში** ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზ. წიგნ. მაღაზიაში და **ქუთაისის** წიგნის ყველა მაღაზიაში. (5—1134—1)



**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ქაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—36)



**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

**მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 88).



**ექიმი** დ. სურამში **აპოლონ ლუკას ძე ტყემალაძე**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღეს. (თ.—235—12)



**ექიმი** კბილისა **იოსებ ზაქარიას ძე კანდელაკი**

მიიღებს დილით 9-დან 2-მდის და საღ. 4-დან 5-მდის. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხავს ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპ. № 7. (50—1552-43)



**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—53.



**ექიმი პ. არდაზიანი**

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12 საღამოს 5—7. (25.899.57).



**ექიმი** ქ. ქუთაისი. **იროდიონ ამბროსის ძე ცეხანოვსკი**

ღებულობს შინაგან საშარდე, სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავადმყოფებს დილის 10—12 და საღ. 5—7 ს., ქარავან-სარაის და მიხაილოვის ქ. კუთხე სასტუმრო „ლონდონი“. (თ.—1129—4).



**ექიმი ე. ი. მინასიანცი**

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე, ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—106).



**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის** ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—249—10)



**ექიმი შ. ა. მიქელაძე**

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., №



**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.



**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ნოვოე ვრემიას“ კორესპონდენტი აღწერს რუსეთის კატორღიდან გაქცეულ და სპარსეთის ფიდაებში ჩარიცხულ ვინმე ლებედევის საუბარს რუსეთის ელჩთან.

„მაღალი ტანისა, გამხდარი, თავხედ და ეშმაკურ გამოტყველების, ლებედევი საზიზღარ შთაბეჭდილებას ახდენდა. იუდის გამოსახატავად კაცი უკეთეს ორიგინალს ვერ იშოვიდა.

— მითხარით, ლებედევო, — ეუბნება ელჩი,—რად დაანებეთ თავი ფიდაების რაზმს?

— მინდა რუსეთს ვემსახურო!—სხარტულად უპასუხა ლებედევმა. მრავალი საყურადღებო ცნობების გადმოცემა შემიძლიან, მაგალითად ვიცი, რომ ზელიმხანი ამ ჟამად ვანის ოლქში იმყოფება და მრავალი სხვაც...

— თქვენ, ვგონებ, რწმენით სოციალ-დემოკრატი ხართ?

— მართალია, მაგრამ მე ამახთანავე რუსი პატრიოტი ვარ.

— მერე თქვენ, რუსი — პატრიოტი ბაგიშმალთან რუსის ჯარს ესროდით?

— მე აზრადაც არ მომსვლია სროლა.

— ნუ სცრუობთ. აბა, ვინ დაგიჯერებთ, რომ თქვენ ამირ-ხიშმეტის რაზმის ფიდაი „ვინტოვკას“ ტყუილად ატარებდით, თქვენა ხართ რუსი-მოღალატე და არა სხვა ვინმე.

— მაშ, რად დავბრუნდი რუსებთან?

— ეგ თქვენც კარგად იცით... ხომ არას მიუმატებთ თქვენს წინანდელ ჩვენებას?

— შემიწყნარეთ, მაპატიეთ,—წამოიძახა ლებედევმა და ელჩის წინაშე მუხლი მოიყარა.

მაგრამ მას ლაპარაკი აღარ აცალეს და კვლავ საპატიმროში გაგზავნეს“.

საყურადღებოა ამ ლებედევის ბიოგრაფია. იგი მოსკოველია და წინედ აბრიკოსოვის ქარხანაში ბუჰგალტერად ყოფილა. მოძრაობის დროს რევოლიუციონერთა ბანაკში მუშაობდა, რისთვისაც კატორღაში გაგზავნეს. კატორღიდან მალე გამოიპარა და ცოტა ხანს კავკასიაში იმალებოდა. ბოლოს სპარსეთში გადავიდა და ამირ ხიშმეტის რაზმს შეუერთდა. ამ ბოლო დროს ლებედევს მრავალი პირი გაუცია, მათ შორის ტფილისის და განჯის ზოგიერთი ნაფიცი ვექილები, რომელთაც ვითომ მისთვის ფული მიუციათ და საზღვარზე გადასვლა გაუადვილებიათ. საერთოდ ლებედევის მიერ დაბეზღებულთა სიაში თურმე უმეტეს ნაწილად გვარი ან „იანც“-ით ბოლოვდება, ან „ძე“-თი.

## სახელმწიფო სათათბირო

**დეპეშები**

**28 თებერვალი**

**როძიანკო** თავმჯდომარეობდა.

მინისტრთა ლოჟაში **მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე** ზის. საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსეენკომ** წაიკითხა მოხსენება 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა. ჩვეულებრივი შემოსავალი ნავარაუდევია 2,855,169,551 მან., განსაკუთრებული წყაროები 5,400,000 მან. საერთო ჯამი შემოსავლისა უდრის—2,860,569,551 მანეთს. ჩვეულებრივი ხარჯი ნაანგარიშევია 2,685,950,215 მან., არა-ჩვეულებრივი—289,301,885 მან., საერთო ჯამი ხარჯისა — 2,975,252,100 მანეთია. შემოსავლის რაოდენობისათვის კომისიას მიუმატებია 41 მილიონი. სხვათა შორის რკინის გზის შემოსავალს მიუმატეთ 12 მილიონი, არყის დუქნებისას 11 მილიონი, განსაკუთრებული წყაროები კი ხელუხლებელად დავტოვეთ. დამდეგ წელს საზღვაო სამინისტროს კრედიტი გადიდებულა 56 მილიონითა. 1911 წელთან შედარებით ხარჯი მოჰმატებია განათლების სამინისტროს 16 მილიონი. ეს ჰმოწმობს ხალხის განათლებისათვის სათათბიროს მზრუნველობას. მიწად-მომწყობ უწყების ხარჯს მიუმატეთ 16 მილიონიო. საერთო ხარჯი 1912 წლისა, თუ ხაზინის ბილეთების გასანაღდებლად გადადებულ 100 მილიონს არ მივიღებთ მხედველობაში, უდრის 2,847,643,694 მან. და აღემატება 1911 წლის ხარჯსა 173,000000 მან. შემოსავალი გამოანგარიშებულია 2,901,919,261 მან. 1911 წლის შემოსავალზე 182,000,000 მან. მეტი. თუ ამათ მიუმატებთ ხაზინის ბილეთების გასანაღდებელ 100 მილიონს, ხარჯთ-აღრიცხვის ბალანსი იქნება 3,001,919,261 მან. ეს ბალანსი ევროპის ყოველ სახელმწიფოს ბალანსს აღემატებაო. ეს მესამე შემთხვევაა რომ ხარჯთ-აღრიცხვა უდეფიციტოდ შეუდგენიათ. ალექსეენკომ აღნიშნა, კომისიამ ანგარიში გაუწია მოუსავლობასაო. ალექსეენკო შეეხო მოუსავლობის მავნებლობასა და შემდეგ რუსეთის პურის უცხოეთში გაზიდ-

ვას. საზოგადოდ ალექსეენკოს რუსეთის საფინანსო მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად მიაჩნია. მომხსენებელმა სთხოვა სათათბიროს ხარჯთ-აღრიცხვის მიღება, რადგან იგი შედგენილია არა მარტო უდეფიციტოდ, არამედ 54 მილიონი ზედმეტი დარჩებაო.

საჭიროა მთავრობამ იზრუნოს იმათთვისაც, ვის კეთილდღეობაზედაც დამყარებულია სახელმწიფოს კეთილდღეობა. საჭიროა გზების გაყვანად ქალაქებისა და ერობის დახმარება. სამწუხაროდ, სათათბიროში მიღებული პროექტები საბჭოში ბრკოლდება და საზოგადოდ ჩვენს მუშაობას საბჭოც ხელს უშლის. თვით საბჭოში კი ორი პროექტი შეიმუშავეს და იმისიც აღარა ისმის რა.

ბოლოს ალექსეენკომ ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის წესების უვარგისობა აღნიშნა და სთქვა, იგი ყოველთვის შეიცვლება ხოლმე, ვიდრე საქმეს არ მოვაგვარებთო. ალექსეენკო სამს საათს ლაპარაკობდა.

**მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ** აღნიშნა, საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ნათქვამს ველარაფერს მივუმატებო. ეს პირველად მოხდა, რომ რუსეთის შემოსავალ-გასავალი 3 მილიარდს აღემატება. ფრანგის ერთ ფინანსისტს გადავსხვაფერებთ და ვიტყვით: ამისთანა დიდ ბიუჯეტის წინაშე ქუდს ვიდრეკთ.

კოკოვცევმა შემდეგ აღნიშნა, უცხოეთში ყველა ყველგან გაადიდეს გადასახადებიო. აქამდე რუსეთში თითო სულს, საშუალოდ, გადასახადად ჰქონდა გაწერილი 10 მან. და 31 კ., 1912 წელს იქნება 10 მ. 82 კაპეიკი. პირდაპირი გადასახადი 1 მ. და 5 შაური. გადიდდა მანეთ და 37 კაპ. არაპირდაპირი გადასახადი—სამის მანეთ. 46 კაპ. 3 მანეთი და 77 კაპ., დასავლეთ ევროპაში კი თითო სულზე გაწერილი გადასახადი ბევრად მეტია. ინგლისში, მაგალითად, შეადგენს 31 მან. 89 კაპ., საფრანგეთში 1912 წ.—33 მან. და 12 კაპ. და სხვ. რუსეთის შემოსავალი იზრდება გადასახადის გაუდიდებლობის მიუხედავად და ეს ჰმოწმობს წარმატებას და ხალხის ბუნებრივად გამრავლებასა. შემდეგ კოკოვცევი შეეხო ოთხის წლის ხარჯს და აღნიშნა, იგი 1,338,000,000 მან. 1,488,000,000 მანეთამდე გაიზარდაო. ყველაზე ძლიერ გაზრდილა სახელმწიფოს დაცვის საქმისათვის გადადებული ჯამი—121,000,000 მანეთითა. სამღვდელოებისა, განათლებისა, მეურნეობისა, ტელეფონისა, მრეწველობისა, ფოსტისა, მეცნიერებისა, ხელოვნებისა და სხვათა ხარჯებს უმატნიათ — 166,900,000 მან., ანუ 65% ყველაზე ბევრი ამათში მოჰმატებია განათლებისათვის გადადებულ თანხას — 77,000,000 მან. შემდეგ 47,000,000 მ. მიწად-მოწყობასა და მეურნეობასა. ამნაირად ამ ოთხ წელიწადში ყველაზე ძლიერ საკულტურო ხარჯი გაზრდილა. 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვაშიაც სახელმწიფოს დაცვის საქმისათვის გადადებული ფული ნაჩვებია 200 მილიონად, საკულტურო კი 227 მილ. ტ განა ჩვენი ფინანსების ასე გამოკეთება მარტოოდენ ორის წლის ზედი-ზედ კარგ მოსავლიანობით ვერ აიხსნება. საფინანსო სისტემა კარგ ნიადაგზეა დაყენებული და ყოველ წლივ სახელმწიფოს შემოსავალს 4% მაინც ემატება. ხალხიც ძალიან სწრაფად მრავლდება. უკიდურესი პესიმისტებიც კი ვერ უარჰყოფენ რუსეთის ქონებრივ მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ათის წლის შემდეგ რუსეთის ბიუჯეტი 4 მილიონი იქნება. ხარჯი საშუალო რიცხვით 3.883,000,000 მანეთი იქნება. შემოსავალი მეტი იქნება 130.000,000 მან. საქმე ასე იქნება, თუ წელიწადში 3 ნახევარი პროცენტი მოემატება შემოსავალსა. თუ შემოსავალი 4 პროც. იმატებს, მაშინ შემოსავლიდან უფრო მეტი გადარჩება.

შემდეგ კოკოვცევმა აღნიშნა: მოუსავლობასთან საბრძოლველად 110 მილიონი დავხარჯეთ და შემდეგაც დავხარჯავთ საჭიროებისამებრ. საერთოდ კი მოუსავლობას გავლენა არ მოუხდენია და საქმე ეხლა გაზაფხულზეა დამოკიდებული: როგორი დარი იქნება. ფულის საქმეც კარგად არის. ოქროს სათადარიგო თანხა გაიზარდა 1,270,000,000 მან. 1,846,000,000 მანეთამდე. გაიზარდა აგრეთვე საზოგადო ფულის რაოდენობა. რუსეთის სახელმწიფო რენტა ამ ოთხ წელიწადში 17 პროც. გაიზარდა. ბოლოს დროს ცოტა გაიაფდა უეჭველ შემოსავლიანი ქაღალდები, მაგრამ ეს აიხსნება მთელის ქვეყნის მდგომარეობით: დღე არ გასულა ისე, რომ რაიმე ახალი საჭირ-ბოროტო საკითხი არ წამოეყენებინოთ.

შემდეგ მინისტრი შეეხო საგლეხო ბანკების ბილეთების გამოშვებას და მათ მდგომარეობას უცხო სახელმწიფოებში. ყველა ამასთან ერთად თითქმის ერთი ორად იმატა სახელმწიფო კასებში შეტანილ ფულის რაოდენობამ. ფულის შემნახველ კასებში უკანასკნელ ოთხ წელიწადს შემოიტანეს 346 მილიონით მეტი, ვიდრე წინადა.

**პურიშკევიჩი.** ისინი ებრაელთა საკვები არ არიან.

**კოკოვცევი** განაგრძობს: არ ვიცი, როგორ შეიძლება შემნახველ კასათა წიგნაკების სარწმუნოებისა და ეროვნების მიხედვით განაწილება (ტაში მემარცხენეთა და ცენტრელებისა).

ბოლოს მინისტრი შეეხო სათათბიროთა ხუთის წლის საბიუჯეტო მუშაობას. მე მგონია ყველაზე მეტი მესამე სათათბირომ გააკეთაო. თქვენ უფრო კარგ პირობებში იყავით, თქვენი მოღვაწეობა ამერიკის კრიზისის ლიკვიდაციის შემდეგ დაიწყო. წარსულ წლებში ორჯერ იყო კარგი მოსავალი. თქვენმა, გავკადნიერდები და ვიტყვი, ჩვენმა საერთო მუშაობამ საზოგადო საქმეს ცოტა რამ შესძინეს. თქვენის მოღვაწეობის განმავლობაში მოწმენი იყავით ბიუჯეტის მტკიცე ნიადაგზე დაყენებისა, ურომლისოდაც არც ერთს სახელმწიფოს არ შეუძლიან კეთილდღეობაში იყვეს. საკულტურო საქმეები მესამე სათათბიროს თავის დღეში არ დაუსახავს გერად, არამედ ყოველთვის მზრუნველობით ეპყრობოდა. აგრედვე არ იზარებდით ფულის გამოღებას სახელმწიფოს დაცვის საქმის მოსაწყობად (ძახილი მარცხნივ: „სამწუხაროდ“) და, სწუხდეს ვისაცა ჰსურს, მაგრამ არა მგონია თანაუგრძნოს სათათბიროს უმრავლესობამ, ვითა არ იზიარებს ამ მწუხარებას მთავრობა (ძლიერი ტაშის ცემა ცენტრელებისა და მემარჯვენეთა). ამისათვის მხოლოდ ისინი შესწუხდებიან, რომელთაც ძმობის დამყარება სწამთ ქვეყანაზე. თუმცა ამ ძმობად არსებულ წესწყობილების დარღვევა მიაჩნიათ. როგორც მე, ისე თქვენც, სათათბიროს კარებში გასვლისას შეგვიძლიან ვსთქვათ: რის გაკეთებაც შევძელით, გავაკეთეთ. ღმერთმა ჰქნას და ჩემსა და თქვენს მემკვიდრეებს ჩვენზე მეტის გაკეთება შეაძლებინოს. ძლიერ ბევრი ძნელი საკითხი აქვს რუსეთს გადასაწყვეტად დარჩენილი, მაგრამ შრომა ყველაფერს დასძლევს და გამარჯვებასაც მოვესწრებით (ხანგრძლივი ტაში ცენტრელთა და მემარჯვენეებისა) მინისტრის სიტყვის შემდეგ სხდომა დაიხურა. შემდეგი სხდომა გუშინ მოხდა.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

ს.-პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს ცნობით **ბაქოში ყალბ ფულის** ქარხანა აღმოუჩენიათ.

**კავკასიის ნამესტნიკს წარუდგნენ** 28 თებერვალს: ამიერკავკასიის რკინის გზის უფროსი გენერალ-მაიორი ბარონ-ფონ-როპი და დაღესტნის ოლქის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი ვოლსკი.

**ახალი წიგნი.** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გასასყიდად მიიღო რუსული წიგნი: „კავკასია და მის სულიერი კულტურის ძეგლნი“ წიგნი შეიცავს პროფ. მარის სიტყვას, რომელიც 1911 წლის 29 დეკემბრს სამეცნიერო აკადემიის კრებაზე წარმოუთქვამს. წიგნი 20 კაპ. ჰღირს.

**შეწირულება.** სვიმონ ჯიჯიეიშვილმა წ.-კითხვის საზოგადოებას შესწირა რუსულიდან ივ. მაჩაბლის რედაქციით ქართულად თარგმნილი წიგნი. „ისტორია მათი იმპერატორებითი უმაღლესობის დიდის მთავრის გიორგი მიხეილის ძის ქართველ ქვეითის დრუჟინისა „(1831-1881)“

როგორც „ცხოვრებას“ დეპეშით აცნობებენ, 26 თებერვალს **დეპუტატს ევ. გეგეჭკორს** პეტერბურგში წაუკითხავს ლექცია: „შეკითხვათა უფლება დასავლეთ ევროპაში და რუსეთში“. ლექციას დიდძალი საზოგადოება დასწრებია და ლექტორი მხურვალე ტაშის ცემით დაუჯილდოებიათ.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარმა გამგეობამ საზოგადოების **სოხუმის განყოფილებისგან წერილი მიიღო.** როგორც წერილიდან სჩანს, განყოფილებას თავის სკოლისთვის ახალ შენობის აგება დაუწყვია და მის დასამთავრებლად 7—8 ათასი მანეთი დაჰკლებია. განყოფილება დახმარებასა სთხოვს როგორც მთავარ გამგეობასა, ისე ყოველს თანამგრძნობს ამ საქმისას.

**იმერეთის სამრევლო სკოლების საეპარქიო მეთვალყურე** ბ-ნი ავერკიევი ქუთაისიდან ტფილისში ჩამოვიდა.

**ტფილისის უნივერსიტეტი.** ქალაქის საბჭოს საუნივერსიტეტო კომისიამ წერილი მიიღო, რომლიდანაც სჩანს, რომ ბაქოს საზოგადო საკრებულოს დაუდგენია, წელიწადში ასი თუმანი აძლიოს ტფილისის უნივერსიტეტს.

27 თებერვალს ყაზბეგის ქუჩაზე იპოვეს **მოწამლული 22 წლის ქალი,** რომელიც სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. იგი აღმოჩნდა რიგის მაზრის მცხოვრები ოლგა მიქელის ასული ნივანდი.

**„ნაკადული“.** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადული“-ს თებერვლის ნომრები: მოზრდილთათვის (№ 2) და მცირეწლოვანთათვის (№ 4).

**ქალაქის სამხედრო საკრებულო** დღეს იმ პირთ შეამოწმებს, რომელნიც სამხედრო ბეგარის მოსახდელად ახლა გამოცხადდნენ.

**ვაგონების დაჯახება.** 27 თებერვალს, საღამოს 10 საათ ზე, დამოჟნის ქუჩის მოსახვევში ტრამვაის ვაგონი № 40 გაჩერებულს ვაგონს № 15 დაეჯახა. მგზავრნი არ დაშავებულან. არც ვაგონები დაზიანებულა. პირველ ვატმანს ხმელევს სამართალში აძლევენ.

28 თებერვალს, ნემეცთა ქუჩაზე ჩვრებში შეხვეული ბავშვი იპოვეს, მამრობითის სქესისა, დაახლოვებით სამის თვისა. ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

28 თებერვალს, ტფილისში 3) უპასპორტო შეიპყრეს.

### საზოგადოებანი და კრებები

**კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს კრება დღეს, საღამოს 8 საათზე მოხდება მიმდინარე საქმეებისა და საზოგადოებისა და საბაღოსნო ხასწავლებლის მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად.

**ქალაქის საბჭოს სატყეო-საბაღოსნო კომისიის** კრება დღეს მოხდება.

### ქუთაისი.

პიროგოვის სახელობაზე დაარსებულ **რუსეთის ექიმთა საზოგადოებისგან** ქუთაისის ქალაქის გამგეობას ქაღალდი მოუვიდა. ხსენებული საზოგადოების გამგეობა მართავს თათბირს ქალაქებისა და ერობების სანიტარული მდგომარეობის და სანიტარულ—სტატისტიკური კითხვების გამოსარკვევად. საზოგადოება სთხოვს ქუთაისის ქალაქის გამგეობას ზემო-აღნიშნულ საგნებზე მიაწოდოს ცნობები და თათბირშიც მონაწილეობა მიიღოს.

ქუთაისის საოლქო სასამართლოში ირიცხება სულ 40 ვექილი. ამათში 15 ნაფიცი ვექილია, 8 ნაფიც ვექილების თანაშემწე, ხოლო 17 კერძო ვექილი. ამათ გარდა სასამართლოში ყოფილა 40 ეგრედ წოდებული „აბლაკატი“.

კვირას, 26 თებერვალს ს. ლანირში (ქუთაისის მაზრაში) მოხდა საზოგადოების კრება. კრებას დაესწრო ხონის ბოქაული კედია. უკანასკნელის წინადადებით საზოგადოებამ დაადგინა სასოფლო კანცელარიის გადაკეთება. ამისათვის ბოქაულმა გადაადებინა საზოგადოებას 1545 მ.

19 თებერვალს, გაუმართავთ ს. ლანირში წლიური კრება ადგილობრივ **შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისა.** კრებაზე გამოირკვა, რომ ამხანაგობას შარშან 200 მანეთამდე მოგება დარჩენია. დაადგინეს ბანკისათვის საკუთარი შენობის აგება. ამ საჭიროებისთვის კრებამ გადასდო 148 მან. და 45 კაპ.

ახალ-სენაკიდან „ცხოვრებას“ სწერენ: 20 თებერვალს აქ ს. აბედათიდან ჩამოიყვანეს 7 კაცი. ამათ ბრალს სდებენ, რომ მემამულე დადიანსა და პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს. საქმეს იძიებენ.

ამ დღეებში ქუთაისის ციხიდან ეტაპით რუსეთის გუბერნიის სხვა და სხვა ქალაქებში **ჰგზავნიან** 24-კაცს, კავკასიიდან გადასახლებულთ.

ქუთაისში ჩამოვიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი ბ-ი პ. ს. **კოგანი.**

(„ცხოვრება“).

26 თებერვალს ქალაქის ბაღთან **დარაჯთა აფიცერმა გიორგი ჩხეიძემ** ვიღაც უცნობი შეიპყრო, ამბობენ **მერკვილაძის რაზმელად ნამყოფიაო.**

**ვარლამ ჭილაძეს** განცხადება შეუტანია ქალაქის გამგეობაში ქუთაისში **ქალაქის საზოგადო ბანკის დაარსების თაობაზე.** განცხადების ავტორი ამტკიცებს, რომ ქალაქის საზოგადო ბანკს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიაო. 1910 წ. მთელ რუსეთის იმპერიაში ყოფილა 46 საგუბერნიო ბანკი, სამაზრო ქალაქებში 240 ბანკი, რომელთა ხარჯთ-აღრიცხვა 210 მილიონი ყოფილა. მთელი შემოსავალი ჰქონიათ 7.529,614 მანეთი. წმინდა მოგება კი 2,374,844 მანეთი. ამ ბანკებს საქველმოქმედო საქმეებზე გაუციათ 1,515,510 მანეთი.

ხმოსანმა დიმიტრი ნაზაროვმა განსაკუთრებული აზრი წარუდგინა ქალაქ გამგეობას, საბჭოს ოქმთან ერთად გუბერნატორთან წარსადგენად, ქალაქის **ბაღში პავილიონების აგებაზე.** ბ-ნი ნაზაროვი წინააღმდეგია, რომ ქალაქის ბაღში რაიმე შენობა ააგონ.

იოსებ ლევიძისა და ალექსი ლაშხის სავაჭროში, აგენტებმა აღმოაჩინეს **მოწამლული ღვინო.** მაშინვე გადაუღვარეს და შესაფერი ოქმიც შეუდგინეს. ამავე დღეს აგენტებმა ლაბორატორიაში მოიტანეს **რძის ნიმუშები** და ყველა მათგანი უვარგისი აღმოჩენილა. („კოლხ.“)

### ბაქო

27 თებერვალს ბაქოში ტფილისის სამოსამართლო პალატის სესიამ განიხილა საქმე ქ-ნ ხიტირინისა, რომელსაც სოც.-რევოლუციონერთა პარტიის წევრობას აბრალებდნენ. ხიტარინას ექვსის წლით კატორღა მიუსაჯეს.

ამავე სესსიამ გაარჩია საქმე გაზ. „ხილალის“ რედაქტორის ალი ამას მუტალიშისა, რომელსაც სამუდამო გადასახლება გადაუწყვიტეს.

### ბათომი.

**ყაჩაღის მოკვლა.** ამას წინად ვწერდით, რომ სოფ. მარისში (ქვემო აჭარა), არდანუჩის დარაჯმა გუმიშ მემედ-ოღლი მოჰკლაო. საქმე ასე ყოფილა: სოფელ მარისის მამასახლისს შეუტყვია, რომ ქვედა აჭარაში ცნობილი ყაჩაღი გუმიშ მემედ-ოღლი გუსტაფა მამედ-ოღლის სახლში იმალებაო. მამასახლისს დარაჯების თანხლებით მუსტაფას სახლისთვის ღამით ალყა შემოურტყამს და მოუთხოვია ავაზაკის გაცემა. ამაზე გუმიშს, რომელიც მართლა სახლში ყოფილა დამალული, სროლით უპასუხია, რის შემდეგ გადმომხტარა ფანჯრიდან და გაქცევა დაუპირებია დარაჯებს სროლა აუტეხიათ და იქვე მოუკლავთ. („ბ. გ.“)

### კავკავი

კავკავის რკინის გზის სამმართველომ გადასწყვიტა, რომ კავკავის სადგურთან, წინანდელ პროექტის თანახმად, ააგოს სახელოსნოები ამ პროექტით აქ **ვაგონების დამმზადებელი სახელოსნო უნდა მოეწყოს.**

### თელავი.

26 თებერვალს მოხდა ბიბლიოთეკის წევრთა კრება. ეს მგონი მეხუთედ დაუნიშნავთ და ახლოს არავინ ეკარება. როგორც იყო 15 კაცმა ძლივს მოიყარა თავი და კანონიერად ჩაითვალა იგი. 1911 წელს ბიბლიოთეკის შენახვაზე დაუხარჯავთ 318 მან. 10 კაპ. შემოსავალი ყოფილა 344 მან. 22 კაპ. და ბიბლიოთეკის გამგემ ქ-ნმა მთვარელიშვილისამ ითხოვა განთავისუფლება, მაგრამ დაჟინებით სთხოვეს და ისევ დასტოვეს. კრებამ დაამტკიცა ანგარიში, ამოირჩია სარევიზიო კომისიის წევრები თავ. ო. ლეონიძე, თ. შიუკაშვილისა და ვ. პაატაშვილი და დაადგინა ეთხოვოს წ. კ. თელავის განყოფილებას მიიღოს ეს ბიბლიოთეკა თავის მფარველობის ქვეშ.

ოთხ მარტს მოხდება **დამხმარე საზოგადოების წევრთა კრება** მუდმივ გამგეობის ამოსარჩევად და საქმის დასაწყობად. საქმის დაწყობას-კი მოწადინებულნი არიან, მაგრამ ამას აფერხებს უფულობა, ამის თავიდამ აცილება-კი წევრთა ჩაწერით შეიძლება. ამისათვის ვისაც სწამს კოოპერაცია, ვისაც ესმის მისი მნიშვნელობა და საზოგადოებრივი სარგებლობა, ეცდება მეტი წევრი შესძინოს ამხანაგობას.

### სოფლად.

**ერწო** (თიანეთის მაზრა). **წითელა** ძალიან მოედო ერწოს მხარეს. აგრედვე მძვინვარებს **ყელის ტკივილი.** უექიმობა მეტად გვაწუხებს. გაზაფხულის დარებია. საქონელი მინდვრად გაჰყავთ.

**სოფ. ანაგა** (ქიზიყი). 26 თებერვალს აკურთხეს ბიბლიოთეკა, რომელიც ადგილობრივ სამრევლო სკოლის შენობაშია მოთავსებული. მათე ახმეტელაშვილმა ხალხს განუმარტა ბიბლიოთეკის მნიშვნელობა.

**სამტრედია.** წელს სამტრედიიდან საზღვარ-გარედ გაუტანიათ **30 ათასამდე კვერცხი.**

**თიანეთი.** თებერვლის პირველებიდან სოფ. საბადურში კარახტინი (კარანტინი) შეჰკრეს, რადგანაც გლდანში საქონლის ჭირი ყოფილა.

**დაბა ხაშური** (გორის მაზრა). 20 თებერვალს, ღამის ორ საათზე აქ გორიდან მობძანდა მაზრის უფროსი თანაშემწეებითა და ჩაფრებით. დიდი ჩხრეკა იყო. არავინ დაუპატიმრებიათ.

**სოფ. კარდანახი** (ქიზიყი) ჩვენში გახშირდა ქურდობა. ბოროტგამზრახველებმა ორი ვენახი გადასჭრეს. ამის გამო 19 თებერვალს ბოქაული მოვიდა. მოიყვანა მაძებარი ძაღლები „ბუხტა“ და „ვანდა“. გადაკაფულ ვენახში ჰყავდათ ძაღლები. საღამო ხანზე ორი კაცი დააპატიმრეს, მაგრამ მეორე დღეს ისევ გაანთავისუფლეს: დამნაშავენი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

ჩვენსკენ მშვენიერი ამინდებია. ჯეჯილებს კარგი პირი უჩანს.

**ბაკურიანი.** ორშაბათს, 20 თებერვალს, აქაურ ადგილობრივ მოვაჭრეს ლაზარ პანაეტოვს შეუცვინდა სამი უცნობი და ოცი თუმანი წაართვა. პოლიციამ ვერ გამოიკვლია თუ ვინ იყვნენ ეს ბოროტმოქმედნი.

## დეპეშები

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

### პეტერბურგი.

დაშნაკცაკანთა საქმეში ექსპერტიზამ ოცდა ათზე მეტი სიყალბე აღმოაჩინა. რადგანაც კომისიის წევრი ზვოლიანსკი ავად გახდა, საქმე ჯერ-ჯერობით შეაჩერეს.

### პეტერბურგი.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ფინლანდიური გაზეთი „ნია პრესან“ რუსეთის მთავრობას ურჩევს: თუ არეულობის მოხდენა არა გსურთ, ფინლანდიას ავტონომიის თავისუფალი გზა მიეცითო; არა რუსთ კი თვითმმართველობა მიანიჭეთო.

## მზისა და მთვარის დაბნელება 1912 წ.

პროფესორ გლაზენაპის გამოკვლევით; წელს რამდენჯერმე მოხდება მზისა და მთვარის დაბნელება, რომელიც სხვა და სხვა კუთხეში, სხვა და სხვა დროს გამოჩნდება.

ა) **მთვარის დაბნელება** მოხდება 19 მარტს. იგი გამოჩნდება ევროპასა, აზიასა და აფრიკიდან, აგრეთვე ინდოეთსა და ატლანტიის ოკეანიდან. დაბნელება დაიწყება საღამოს 9 ს. და 56 წ. და დილის 2 ს. და 35 წუთამდე გაგრძელდება. პეტერბურგში დილის 5 ნახ. საათამდე გაგრძელდება. ეს მთვარის დაბნელება დიდად თვალსაჩინო არ იქნება.

ბ) **მზის დაბნელება** მოხდება 4 აპრილს. ამ დაბნელების ფარგალში მოჰყვება სამხრეთი ამერიკა, ატლანტიის ოკეანის ნაწილი, პორტუგალიის ჩრდილო ნაწილი, საფრანგეთი, გერმანია, და რუსეთი (ენისეის გუბერნია).

გ) **მთვარის დაბნელება** 12-13 სექტემბერს მოხდება. ამას დაინახავენ ჩრდილო ამერიკიდან, წყნარ-ოკეანედან, ავსტრალიიდან და აზიის აღმოსავლეთ ნაწილიდან.

დ) **მზის სრული დაბნელება** მოხდება 27 სექტემბერს. ამას შეამჩნევენ სამხრეთ ამერიკაში, ატლანტიის ოკეანის სამხრეთ ნაწილში და სამხრეთ ყინულის ოკეანიდან.

## საგულისხმო ამბავი

**სოფ. მატაანი** (თიანეთის მაზრა). ჩვენს საქართველოს, სხვა და სხვა მხარეებში ბევრგან დღესაც ჩნდება სხვა და სხვა ძველი ნივთები, რომელნიც ჩალის ფასად გადადის ვაჭარ ჩარჩების ხელში. აი მაგალითებრ ერთი შემთხვევაც; ამ სოფელში მცხოვრებმა ერთმა გლეხმა, შარშან მაისში, იყიდა პატარა კლდიანი ალაგი თავად ჩოლოყაშვილისაგან, სადაც უნდა საბძელი ჩაედგა. გლეხმა ნაყიდ ალაგს დაუწყო თხრა და წააწყდა აკლდამას. **აკლდამაში აღმოჩნდა;** მიცვალებულის ჩონჩხი; ძვლებს ეტყობოდა, რომ **დიდი და მოსული ადამიანი ყოფილა.** მიცვალებულს გვერდით ედგა **ცხენის ჩონჩხი, უზარ მაზარი ბედაური; ეტყობოდა რომ ცხენი ცოცხალი დაეყენებინათ მიცვალებულისთვის გვერდით.** ცხენს ედვა პირში ვეებერთელა ლაგამი, რომელიც [illegible] დროში შემკობილი [illegible] ცხენის ჩონჩხი [illegible] ლა. აქვე ყოფილა შემდეგი ნივთები: სამი ოქროს სამაჯური, თითო წონით ოცი მისხალი. ერთი ვერცხლის ძეწკვი, პატარ-პატარა ჩამოსხმული მტრედების ქანდაკება. აგრედვე იყო მეორე ვერცხლისვე ძეწკვი, რომელსაც ყალიონის საჩიჩქნი რკინის ნემსი ება, და რამდენიმე სხვა. გლეხს ნივთები მიეტანა ადგილობრივ მღვდელთან იოსებ დალაქიშვილთან და ეთხოვნა, ეგებ გამიყიდოო ნივთებიო. მღვდელს გამოერთმია ნივთები და ეთქვა: „ამაებს ქალაქში წავიღებ სადაც ეკუთვნის, იქ იციან ამათი საღირელი ფასი და ფასსაც მოგიტანო“. გლეხს გადაეცა ყველა ნივთები მოძღვრისათვის და წასულიყო, მაგრამ, სამწუხაროდ ვიღაც ბოროტ პირს შეეგულიანებინა და ეთქვა: რად მიეცი მღვდელს ნივთები, შეიძლება ნახევარი ფასიც აღარ გამოგიჩინოს იმანაო“. მართლაც წაქეზებული გლეხი მივიდა და მღვდელს უთხრა: ან ამდენი და ამდენი ფული მომეცი და ან ნივთები უკანვე დამიბრუნეო“. მღვდელიც აჩქარებულიყო, სწყენოდა გლეხის უნდობლობა და გლეხისთვის უკან დაებრუნებინა ნივთები, გლეხს ოქრო ვერცხლის ნივთები რაც იყო, წაეღო, და ალავერდობას ვიღაცისთვის მიეყიდნა შვიდ თუმნად, და ლაგამი კი იქვე სოფლის მჭედლისთვის მიეცა რომელსაც ჩაქუჩით დაემტვრია. დანარჩენ მიცვალებულის და ცხენის ჩონჩხებისთვის, არავის ყურადღება არ მიუქცევია; და ვეღარც ის გავიგე, რა უყო გლეხმა ისინი. შეიძლება სხვაც რამე აღმოჩენილიყო აკლდამაში. საინტერესოა გამოიკვლიოს ჩვენმა ეთნოგრაფიულმა საზოგადოებამ, რომელ საუკუნეს ეკუთვნოდა ეს აკლდამა, ტ ან, ჰქონდათ როდისმე ჩვეულებად ცოცხალი ცხენის ჩატანება მიცვალებულისთვის? ამასთანვე; ურიგო არ იქნება; ასეთ დიდ და ისტორიის მხრივ შესანიშნავ სოფლებში როგორც მატაანია, იყოლიონ თავისი აგენტი, ეთნოგრაფიულმა საზოგადოებამ, რომ ამისთანა შესანიშნავი ნივთები კვლავისათვის მაინც შეიძინონ ხოლმე, და უბრალო პირებს აღარ ჩაუვარდეთ ჩალის ფასად...

**ქართველი ოსებში ნამყოფი.**

## არა ჩვეულებრივი ორატორი

(ვ. ა. პოსსეს ლექციები)

უდიდეს ყურადღებას იწვევენ კაცთა შორის მხოლოდ ის ადამიანები, რომელთაც ღრმა შინაგან სულიერ ძალთა მოძრაობას ვამჩნევთ. ადამიანი ჭეშმარიტებას ეძიებს, და ის ძალა, რომელიც ამ დროს იმის სულის სიღრმეში ჩნდება რაღაც საიდუმლო, ჩვენთვის გაუგებარ გზით იმ ძალად, იმ ანდამატად გადაიქცევა ხოლმე, რომელიც გვხიბლავს და გვიზიდავს ამ ადამიანის მიმართ.

სწორედ ამგვარი ღრმა შინაგანი სულიერი მოძრაობა შევამჩნიე მე იმ არაჩვეულებრივ ადამიანს, რომლის ლექციები „ადამიანის სულის საიდუმლოებისა“ და „ცოლქმრობის ოჯახის და სკოლის“ შესახებ მოვისმინე ტფილისის სახაზინო თეატრში. ეს ადამიანი ფრიად სიმპატიური, უმთავრესად გლეხობაში და მუშა ხალხში გავრცელებული ჟურნალის „ჟიზნ დლია ვსეხ“-ის რედაქტორი ვ. ა. პოსსეა.

პოსსემ აირჩია თავის ლექციისათვის საყურადღებო თემა—რუსეთის სახელ-განთქმულ მწერლის თ. დოსტოევსკის შემოქმედება და გამოცა მსმენელები მოულოდნელი, არაჩვეულებრივი აზრებით. ეს აზრები წრფელი და მაღალი აღფრთოვანების შუქით იყო განათებული.

პოსსეს ლექცია წარმოადგენდა თავისუფალ, დამოუკიდებელ შემოქმედების მშვენიერ მაგალითს: იგი იყო ნაყოფი ხანგრძლივი დაფიქრებისა, იმ წუთებისა, როცა განმარტოებული ადამიანი თავისი საკუთარი სულის იდუმალობაში ეძიებს ცხოვრების იდუმალობის ახსნა-განმარტებას.

დოსტოევსკი-მატერიალისტია. ლექტორის მიერ წარმოთქმული პარადოქსი პირველად თითქო არ გესიამოვნებოდათ, გეუცხოვებოდათ, მაგრამ აი ორატორმა თანდათან გადაგვიშალა თვალ-წინ დოსტოევსკის შემოქმედების პროცესსი, მოგვცა შეძლება ღრმად შევეცნო, ცოცხლად წარმოგვედგინა იგი. მხატვრული სურათის მაგალითი სწორედ ი

დროს ჩნდებოდა ორატორის სიტყვაში, როცა იგი საჭირო იყო და ელვასავით გვინათებდა ლექციის ძირითად აზრს.

დოსტოევსკი მატერიალისტია, რადგან ამ სულიერად ძლევა-მოსილ გენიოსს მაინც არ შესწევდა იმდენად სულიერი ძალ-ღონე, რადა გაეკვლია გზა უწმინდეს იდეალიზმის მიმართ. იმან ვერ აღმოაჩინა ის ნათელი წყარო, რომელსაც არ ახლავს არა რა მიწიერი, ვერ გაჰკაფა გზა იმ შუქ-მფინარე ღვთის მიმართ, რომელსაც მიაღწია მეორე მსოფლიო გენიოსმა—ლევ ტოლსტოიმ.

ამით აიხსნება დოსტოევსკის სარწმუნოების ორმაგობა, ორჭოფობა. სატანა, ეს დაუღალავი მეუფე ამა მსოფლიოსი, რომელმაც განართხო ყველგან თავისი ვერაგული ქსელი და დედა მიწა ცრემლებით აავსო, ცოცხლობს ყველგან დოსტოევსკის ნაწერებში ღვთის მიმართ დაუშრეტელი წყურვილის გვერდით. დოსტოევსკის, სურს დასთრგუნოს, გასრისოს სატანა, რათა აღვიდეს ღვთის მიმართ, მაგრამ თავს ვერ აღწევს იმის ბასრ კლანჭებს.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ დოსტოევსკის ნაწერებში ცოცხლობს არა მარტო სული, არამედ აგრეთვე ხორცი ადამიანისა; იმისი სხეული თითქო სულ ჩადგმულია, თითქო თავის საკუთარ, მატერიალისტურ კანონს ემორჩილება, რომელიც მეტოქეობას უწევს სულის ღვთიურ კანონს, იმის გვერდით ცხოვრობს, მასავით სწორ-უფლებიანი და ძლევა-მოსილია.

დოსტოევსკი იტანჯება, სული უწუხს ადამიანის ცხოვრების ქირვარამთა შემხედვარეს; იგი სწყევლის ამ მსოფლიოს და უარჰყოფს მას სავსებით, რადგან არ შესწევს იმდენი ძალ-ღონე და სულიერი აღმა ფრენა, რათა ამ მწუხარების სავანეში კაცთათვის ნათელი იდეალის უმწიკვლო გზა გაიკვლიოს. მკითხველიც იტანჯება მწერალთან ერთად და მასთან ერთად თავს ვერ აღწევს ქვეყნის მეუფე სატანის ბასრ კლანჭებს.

დოსტოევსკი მატერიალისტია, რადგან იმის მხატვრობაში მატერია, სხეული ცოცხლობს და მძლეთა მძლეობს.

შემდეგი ლექცია ვ. პოსსესი შეეხებოდა ცოლ-ქმრობას, ოჯახს და სკოლას. ლექტორმა საყურადღებოდ განმარტა დღევანდელ ოჯახში არსებული განხეთქილება, სულიერი უთანხმოება ცოლ-ქმართა შორის და ბავშვებზე ამ უთანხმოების დამღუპველი გავლენა. ორატორმა მიაქცია უმთავრესი ყურადღება იმ მხეცს, რომელიც იღვიძებს ადამიანის სხეულში იმ დროს, როცა ამ სხეულს დარაჯად სული არ უდგას. მაშინ ადამიანი ოჯახურ წმინდა კერას ჯოჯოხეთად გადააქცევს ხოლმე.

სიცოცხლითა და წრფელი აღფრთოვანებით აღსავსე იყო ლექტორის სიტყვები ბავშვების აღზრდა-განათლების რეფორმის, ეგრედ წოდებულ თავისუფალ აღზრდა-განათლების შესახებ. იმან მხატვრულად დაგვიხატა მომავალი სკოლა, სადაც ბავშვი თავისუფლად, ძალ-დაუტანებლად მიდის იმის მოსიყვარულე უფროსის ამხანაგის-მასწავლებლის მოსასმენად და მასთან ერთად მუშაობს ფიზიკურად ბაღში და მინდვრად, მუშაობის დროს სწავლობს, ცოდნას იძენს, რადგან ბუნება ყოველ ფეხის გადადგმაზე ცნობის მოყვარეობას უღვიძებს, რომელსაც გამოცდილი ამხანაგი-მასწავლებელი აკმაყოფილებს. ამ სკოლიდან გამოვა სულითა და სხეულით მტკიცე, ღრმა მორწმუნე და სიცოცხლით მჩქეფარე ადამიანი.

ორატორის სიტყვამ ალტაცება გამოიწვია მსმენელთა შორის.

**ი. ნაკაშიძე.**

## დამოუკიდებელი გიდრო-ელექტრონული სადგური კავკასიაში.

შარშან ინგლისში, ოთხი თვის შემდეგ მას მერე რაც გზათა სამინისტროში არსებულმა საუწყებათაშორისო თათბირმა გაიხილა ელექტრონულ რკინის გზის პროექტი, ბ-ნი მ. სტიუარტმა აღძრა შუამდგომლობა, რათა კავკასიაში გაკეთდეს დამოუკიდებელი გიდრო-ელექტრონული სადგური.

ეს წინადადება ადგილობრივ სატეხნიკო დაწესებულებას არ განუხილავს და მისი დამწყობი ისე საიდუმლოდ ინახავდა მას რომ ადამიანი ვერც კი გაეცნობოდა ამ საქმეს, რათა დასაწყისშივე თავიდან აეცილებინათ შესაძლებელი გაუგებრობანი. როდესაც ამ საქმემ მინისტრთა საბჭოში გაიარა, მხოლოდ მაშინ გახდა შესაძლებელი ამ საქმის გაცნობა. აღმოჩნდა, რომ გარეგნულ მხრივ დიდებულად შედგენილი, იგი მხოლოდ შესაძლებლად ჰხდიდა ელექტრონულ რკინის გზის საერთო პროექტიდან თერგის გიდრავლიურ სადგურის გამაცალკევებას.

კონცესიის მე-5 მუხლი მწარმოებელს უფლებას ანიჭებს თერგიდან საგანგებოდ წყალი გადაუგდოს სადაყაზნევთან, საფოსტო სადგურის მახლობლად, ხიდის ყურთან, ე. ი. სწორედ იმ ადგილას, რომელიც ამ ოთხის წლის წინად იყო გამორკვეული და მოწონებული ელექტრონის რკინის გზის გამყვან პროექტით. მე-24 მუხლში აღნიშნულია საჯარო მიწის ჩამორთმევის უფლება; ვარაუდით დავრწმუნდებით, რომ წარმოებელს უფლება აქვს ჩამოართვას მთელი მარჯვენა ნაპირი დარიალის ვიწრო ხეობისა.

ზემოხსენებულის გზით წყლის გადაგდება შეუძლებლადა ჰხდის მეორე გიდროელექტრონულ სადგურის გაკეთებას, რომელიც აუცილებლად საჭიროა რკინის გზისათვის. თუ დარიალის ხეობის მარჯვენა ნაპირი ჩამორთმეული იქნება, მაშინ ყოვლად მოუხერხებელი ხდება რკინის გზის გაყვანა გვენამის მხარეს, ეს კი უფრო ხელსაყრელი და მოკლე გზაა.

რადგანაც ელექტრონულ რკინის გზის პროექტი წინასწარ რამდენჯერმე დადასტურებულია მთავრობის დაწესებულებათა მიერ და მეც მინისტრთა საბჭოსაგან არავითარი დასაბუთებული უარი არ მიმიღია,—განზრახული კონცესია ელექტრონულ რკინის გზის პროექტის უპირატესობის დარღვევად მიმაჩნია.

ამისათვის 1911 წ. 30 ნოემბერს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს დასაბუთებული პროტესტი წარვუდგინე, შესაფერის განმარტებით.

**ინჟენ. ა. კუჩინსკი.**

ტფ. ოლგის ქ. № 6. („ს.-პეტ. ვედ.“)

## ქუთაისის ავ-კარგი

— რა ბრალსა სდებთ, რა დააშავა წმ. ნინოს სასწავლებლის გამგემ, რომ ასეთი ერთ სულოვნობით მოქმედებთ თქვენცა და თქვენი შვილებიც მის ქუთაისიდან გადაყვანის შესახებ შევეკითხე მე ერთ მშობელს, რომელიც აღელვებული მელაპარაკებოდა ამ საგანზე.

— მე მეგონა თქვენ ქუთაისის მკვიდრი ხართ და ყველაფერი იცოდით და ამიტომ ამ საგანზე არაფერს გეუბნებოდით, მაგრამ რაკი საბუთს ითხოვთ მოგახსენებთ, მიპასუხა ჩემა მოსაუბრე მანდილოსანმა. თუ გნებავთ ნუ მივაქცევთ ყურადღებას იმას რომ იგი ჩვენ, მშობლებს უშვერად გვექცევა, ჩვენთან ლაპარაკი ჩვენსავე შვილებზე, თავის დამცირებად მიაჩნდა; ნურც იმას მივიღებთ მხედველობაში, რომ ყოველი შემთხვევით სარგებლობდა, რომ ჩვენი შვილები დაემცირებინა. ასეთ საქციელს დიდი ხანია მიჩვეული ვართ ყველა სასწავლებლებში, მაგრამ როცა ქ-ნმა ტიმჩენკოს ასულმა პოლიტიკა შეიტანა სასწავლებელში და „იმერეთი“ და „იმერული“ სალანძღავ სიტყვებად გადააქცია, მაშინ ბავშვები განურჩევლად ეროვნებისა, აღელდნენ. ჩვენ ვცდილობდით დაგვემშვიდებინა ისინი იმ იმედით, რომ ვფიქრობდით სასწავლებლის გამგე უფრო შორს არ წავიდოდა. მაგრამ ეს არ იკმარა ქ-მა ტიმჩენკოს ასულმა—მან მოინდომა აგენტურის დაარსება სასწავლებელში და რამდენსამე მოსწავლეს მიჰმართა—მაცნობეთ ყოველივე რაც სასწავლებელში ხდებაო, სამაგიეროდ თავისი მფარველობა აღუთქვა. როცა ეს გამოირკვა, მოსწავლეთა მოთმინების ფიალა აივსო, ხოლო გულის წყრომა მათი გამოიხატა უკვე ცნობილი ინციდენტით“.

თქვენ თითონ უნდა მოგვესმინათ ჩემი მოსაუბრის ნაამბობი და მაშინ მიხვდებოდით რამდენად აუღელვებია საზოგადოება ქ-ნ გამგის მოქმედებას.

ეხლა-კი ირკვევა, რომ უმაღლეს მთავრობას შესაძლებლად უცვნია ქ-ნ ტიმჩენკოს ასული კვლავ დააბრუნოს სასწავლებელში.

ეს წერილი რომ იწერება, როგორც ამბობენ ტფილისში გასაგზავნად მზადდება უშველებელი პეტიცია ტიმჩენკოს ასულის სხვაგან გადაყვანის შესახებ; პეტიციას ხელს აწერენ მარტო მოსწავლეთა მშობლები; ჯერ-ჯერობით ხელი მოუწერია ორასზე მეტ მშობელს და იმედი აქვთ მშობელთა დიდი უმრავლესობა მოაწერს ხელს. ეს პეტიცია გაიგზავნება ტფილისში თავად ვორონცოვის მეუღლის სახელობაზე; გარდა ამისა, მშობელთა უმრავლესობას, როგორც ამბობენ, გადაწყვეტილი აქვს აღარა გზავნონ თავის შვილები წმ. ნინოს სასწავლებელში იმ დღიდან, რა დღესაც ქ-ნი ტიმჩენკოს ასული დაბრუნდება სასწავლებელში და თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგება.

## წერილი ქართლიდან

(მეჯვრისხევის ვითარება)

აქ არსებობს ორკლასიანია სამინისტრო სკოლა, რომელშიაც ამ ჟამად სწავლობს 150 შეგირდი ორივე სქესისა. ჩვენ რო თავი დავანებოთ იმას თუ როგორ არის დაყენებული ამ ჟამად სწავლა-აღზრდის საქმე ამ სასწავლებელში ან და რამდენად ასრულებს იგი თავის დანიშნულებას დაგვებადება საკითხი: ჰყოფნის ეს სასწავლებელი იმ რვა სოფელს, რომელნიც ზედ მოწერილნი არიან ამ სკოლაზე?—ვერა ჰყოფნის. ამ ჟამად მეტი წილი შეგირდებისა პატარა და დიდი-მეჯვრისხევიდან არიან—ზედ მოწერილი სოფლებიდან კი არც ერთი. ამისდა მიუხედავად შარშან ენკენისთვეში, შეგირდების მიღების დროს, 50 ბავშვი დაბრუნდა სახლში თვალცრემლიანი უადგილობისა გამო. ასე რომ არსებითად სარგებლობს სასწავლებლით მხოლოდ დიდი და პატარა მეჯვრისხევი.

დანარჩენი სოფლები? იკითხავს ცნობის მოყვარე მკითხველი, ისინი მხოლოდ გადასახადს იხდიან და სარგებლობა კი იოტის ოდენაც არ გამოაქვთ. ამ შემთხვევაში ადვილი წარმოსადგენია სკოლისადმი უკმაყოფილება. საჭიროა ამათთვისაც დახმარება, წინ გაძღოლა—მაგრამ სად არის? ვისგან?

არსებობს აქ **კერძო აფთიაქი** ბ-ნ ელიავასი, რომელიც ამ ჟამად იჯარით აღებული აქვს ბ-ნ დარასელიას. ხალხი ნელ-ნელა მიეჩვია წამლობას და აფთიაქიდან წამლის სყიდვას. ჩვენი სოფელი დაშორებულია გორ-ცხინვალზე 18—26 ვერსით ასე რომ უკიდურეს გაჭირვებაში ექიმ-ფერშლის მოწვევა ძნელია და მოუხერხებელი და ამასთანავე ჩვენი ეკონომიურად გაძვალ-ტყავებულ გლეხისათვის შეუძლებელიც. აქაურ მკვიდრთ აღძრეს საკითხი, სადაც ჯერ არს **საავადმყოფოს დაარსების შესახებ**, რაზედაც ნებართვა მიიღეს და საჭირო თანხის მოგროვებასაც შეუდგნენ. ასე რომ იანვრიდან მოველოდებოდით საავადმყოფოს, მაგრამ ჯერ არსად არის. მიზეზი ამისა, როგორც გადმომცეს, ისაა, რომ ამ საქმისთვის საჭირო თანხა ჯერ არაა შემდგარი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ საქმის სათავეში მდგომნი გამოიჩენენ შესაფერ ენერგიას და დააჩქარებენ ამ სიმპატიურ დაწესებულების დაარსებას. აღსანიშნავია აქაური **ვაჭრების თავგასულობა**, ყველა სანოვაგეს მამასისხლად ჰყიდიან, ისიც ყოვლად უვარგისს. ადგილობრივი ფურნეც თავისი მოძმეთა ფეხის ხმას აჰყოლია და სრულიად უვარგის პურს აწვდის მთხოვნელებს, და არც ნიხრს დაგიდევს. ასე რომ ამ მშვენიერ სოფელში ცხოვრება აუტანელი ხდება. საჭიროა ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

აქ ამ ჟამად ნამდვილი გაზაფხულის დღეებია. საზოგადოდ ზამთრისა ვერა გავიგეთ-რა. გლეხკაცობა შეუდგა მუშაობას ვენახებში და იმდენია ჩქარაც დაასრულებს მას თუ ასეთი დარები შეჰყვა. წრეულ ზამთარში გლეხკაცობას არ გასჭირებია საქონლის გამოკვება იმიტომ, რომ ორი წილი მინდორში მიერეკებოდნენ და აბალახებდნენ საქონელს. აქ მსხვილი საქონლის მეტი არა გააჩნიათ-რა, არა ჰყავთ არც ცხვარი და არც ცხენები, ამის მიზეზად იალოღის უქონლობას ასახელებენ. მეფუტკრეობისთვისაც კარგი ნიადაგია აქ თუ კი ვინმე თავს გამოიდებს და მიჰყვება.

**ქსნისპირელი.**

## სხვა და სხვა ამბავი

— თავრიდის სასახლეში ხმა გავრცელდა, ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ტიმოშევი და მისი ამხანაგი ბირკის სამსახურს თავს ანებებენო.

— ამას წინედ დეპეშამ გვაუწყა, პოლტავის რეალურ სასწავლებლის დირექტორმა ბერუჩენკო-მუსუნკომ სასწავლებლის ფულებიდან 16,500 მანეთი გაფლანგა და მიიმალაო. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ბერუჩენკო-მუსიენკო კიევში მატარებელ ქვეშ ჩავარდნილა და ორთქლმავალს გაუსრესია. მუსენკოს წერილი დაუტოვებია რომელშიაც ამბობს: მოწაფეების მშობლებს სწავლის ფული ნაწილ-ნაწილად შემოჰქონდათ და მე კი სრულ კვიტანციას ვაძლევდიო. აქედან ვალი დამედვა, ვცადე ბანქოს თამაშით გამესწორებინა საქმე, მაგრამ აქაც ბედმა მიღალატაო.

## მოწერილი ამბები

**ხაშმი.** (გარე-კახეთი). ამ ოციოდე წლის წინად ხაშმელებმა სასოფლოდ შეიძინეს ავალიშვილისეული მამული, ეს მამული მშვენიერ ადგილასა მდებარეობს და სარწყავი წყალიც უდგება. ეს მამული დაახლოვებით 9 დესიატინას უდრის, ნაწილი უკვე გაშენებულია ვენახად, ნაწილი კი ისევ ცარიელია.

ეს მამული სოფელმა იჯარით მისცა ცხრა წლის ვადით ადგილობრივ მცხოვრებთ ანდრია ქოქრაშვილსა და ვ. პ. გოგნიაშვილს. წელიწადში საიჯაროდ მხოლოდ ათი თუმანი უნდა ეხადნათ. სამაგიეროდ უნდა მოევლოთ გაშენებულ ვენახისათვის, ხოლო ცარიელი ადგილი დაგეგმულ ვენახად უნდა ექციათ და ცხრა წლის მერე გადაეცათ სოფლის საკუთრებად.

ეს ოთხი წელიწადია, რაც ამ მოიჯარადრეებმა მიანებეს თავი ამ სასოფლო ვენახს და საჭირო ფულიც ჯერ ერთი გროშიც არ გადაუხდიათ.

ჩვენს ხალხს რომ ჰქონდეს იმდენი შეგნება და თაოსნობა, რომ ამ სასოფლო ადგილს საერთო ძალღონით, საერთო გარჯით აქციოს მშვენიერ, შემოსავლიან ზვრად, მაშინ მისი შემოსავალი სულ ადვილად გაისტუმრებდა მთელი სოფლის ყოველგვარ ხარჯებს. მაგრამ ჩვენს ხალხს ვინ მისცა ასეთი შეგნება და ერთმანეთის გამტანლობა.

ეხლა, რაკი ეს სასოფლო ადგილი ასეა დარჩენილი, ზოგიერთ შეძლებულ გლეხებს მადა აღეძრათ და უნდათ ეს სასოფლო ადგილი ხელში ჩაიგდონ. სოფელში მათი მომხრენი ავრცელებენ ხმას, საჭიროა ეს სასოფლო მამული დავინაწილოთო. წარმოიდგინეთ, რომ ამ შეუგნებელ ყბადიებს აჰყვა სოფელი და დაიყვეს ეს მამული კომლეურად. რა უნდა შეჰხვდეს 9 დესეტინა მამულიდან ამოდენა სოფლის მეკომურს. ერთი მტკაველი მიწა. რაში გამოიყენებს. რა შავ ქვად უნდა ერთი მტკაველი მიწა?

მართალია ცალკე მეკომური კი ვერაფერში გამოიყენებს, მაგრამ თითო მტკაველი მიწის სყიდვა ხომ შეუძლიან შეძლებულ მეზობელს. ამ სახით ერთი, ან რამდენიმე შეძლებული გლეხი ჩალის ფასად ჩაიგდებს ხელში ამ მშვენიერ სასოფლო მამულს.

ნუ თუ ხაშმელები ერთხელ მაინც რიგიანად არ ჩაუფიქრდებიან და ამ მამულის საქმეს არ მოაწესრიგებენ?

რას აკეთებენ ხაშმელი ინტელიგენტები? თუ გლეხებს არ ესმით სოფლის სარგებლობა, რატომ ისინი მაინც არ ჩააგონებენ ამას?

**მოკეთე.**

## ჩინეთის რესპუბლიკა

**დეპეშები.**

**გონკონგი.** ზღვაზე მოთარეშე ყაჩაღები კანტონს დაეცნენ, ქალაქი გაძარცვეს და საადმირალო დასწვეს. ქალაქში ბრძოლაა გაჩაღებული. ტელეგრაფი გაფუჭებულია პროვინციაში ანარქიაა.

**მუკდენი.** ტიანცზინში გაემგზავრენ მანჯურიის სამი პროვინციის წარმომადგენელნი ჩეილის კომიტეტთან ერთად პეკინში დროებით ეროვნულ კრების თაობაზე მოსალაპარაკებლად.

**პეკინი.** გვარდიის, უმნიშვნელო ნაწილის გამონაკლისით, რომელსაც სასხლის დაცვას ჩააბარებენ, დანარჩენ ჯარს სხვა და სხვა პოლკებში დაანაწილებენ.

**ტოკიო.** გაზეთების ცნობით ჩინეთის ახალ გამგეობაში ამერიკის მომხრენი სჭარბობენ იაპონიის მომხრეებს. საზოგადოდ, იუანშიკაის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ იაპონიასა და ჩინეთს შორის დამოკიდებულება მწვავდება.

## არეულობა სპარსეთში

**დეპეშები.**

**ხოი.** მავანში მოვიდა ოსმალეთის საზღვრის დარაჯთა როტა; ოსმალნი ხმას ავრცელებენ, საზღვრის კომისიამ გადასწყვიტა მთელი რაიონი ოსმალეთს შეუერთოსო.

**თეირანი.** ძველი შაჰის ცოლის მამულების გამგე კუჩ-ალიხანმა ზენდჟანიდან ადგილობრივი გუბერნატორი გააძევა და ახალი მმართველი დანიშნა სალარ-უდ-დოულეს სახელით; იგი თეირანიდან და თავრიზიდან მოსულ ბრძანებებს არ ემორჩილება.

## ოსმალეთ-იტალიის ომი

**დეპეშები.**

**რომი.** „სტეფანი“ იუწყება, იტალიის პასუხი სახელმწიფოებისადმი მოგონილიაო. მთავრობას არც ელჩებისათვის, არც სხვისთვის არა უთქვამს რაო. პალატამ ომისაგან გამოწვეულ ხარჯის დასაფარავად 100 მილიონამდე გადასდო. სოციალისტი კაზალინი წინააღმდეგი იყო ფულის გადადებისა.

გადაჭრით უარჰყოფენ ოსმალების ცნობას, ვითომც ტობრუკთან 17—23 თებერვალს იტალიელები დამარცხებულიყვნენ, უკანასკნელ დღეებში სან-ჯულიანმა და ჯიოლიტმა შეიმუშავეს პირობები ომის დასრულებისა. მინისტრთა თათბირის დროს სამხედრო და საზღვაო მინისტრებმა დამსწრეთ გეგმა წარუდგინეს სამხედრო მოქმედებისა. თუ ოსმალეთი არ დასთანხმდება ომის შეწყვეტას.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

28 თებერვალი.

**საზღვარ-გარედ.**

**გაფიცვა გერმანიაში.**

**ჰამბურგი.** ბრუკჰაუზენში პოლიციელებსა და გაფიცულებს დიდი შეტაკება მოუხდათ. როდესაც პოლიციელებმა შეუტიეს გაფიცულებს, რომელნიც სამუშაოდან დაბრუნებულ მუშებს ემუქრებოდნენ, გაფიცულებმა ქვა დაუშინეს პოლიციელებს. 40 პოლიციელმა ხმალი იშიშვლა და გაფიცულები გაჰფანტა. გაფიცულებში ბევრია დაშავებული. ქვით დაშავებულა ბურგომისტრი, პოლიციის კომისარი და რამდენიმე პოლიციელი. ბევრი მუშა დააპატიმრეს. როდესაც პოლიციელები მატარებლით ჰამბორნს ბრუნდებოდნენ, 15-ჯერ ესროლეს რევოლვერი, მაგრამ არავინ დაუჭრიათ.

**ესსენი.** 109,000 მუშაში სადილს უკან მუშაობამა დაიწყო 46 ათასმა კაცმა.

**ესპანიის სამინისტრო.**

**მადრიდი.** კანალეხასის კაბინეთი გადადგა. მეფემ ახალი კაბინეთის შედგენა ისევ კანალეხასს მიანდო.

კანალეხასმა ახალი კაბინეთი შეადგინა. გარეშე საქმეთა მინისტრად ისევ ძველია.

**ამბოხება მექსიკაში.**

**მექსიკა.** მთავრობის ჯარმა დაამარცხა მეამბოხეთა ორი რაზმი და 200 კაცი დაატყვევა. დაჭრილი და მოკლულია 157 მეამბოხე.

**გაფიცვა ინგლისში.**

**ლონდონი.** მაღაროების მუშათა კავშირმა დაადგინა ასკვიტს დაეთანხმოს და მაღაროების პატრონებთან მოლაპარაკება გამართოს.

მოძრაობის შესუსტების გამო, თუ გაფიცვა მოკლე ხანში არ დასრულდა, რკინის გზის მუშების მდგომარეობა მეტად გართულდება. მუშების მიტინგზე მიდლენდის მაღაროების კავშირის ფედერაციის მდივანმა განაცხადა, მუშები გაფიცვას იმ დრომდე განაგრძობენ, სანამ მათს მოთხოვნილებას არ შეასრულებენო.

**საფრანგეთი.**

**პარიზი.** მფრინავი ტაბუტო პოდან პარიზს გადაფრინდა ხუთ საათსა და 12 წუთში და გადიოდა საათში თითქმის 136 ვერსსა. იგი გზაში პუატიესა და ეტამპში გაჩერებულა.

**დებერიცი.** ცელენდორფის მახლობლად ჰაეროპლანი ჩამოვარდა ორი სამხედრო მფრინავით და დაილეწა. ერთი მფრინავი მძიმედ დაშავდა, მეორე—მსუბუქად.

**გაფიცვა საფრანგეთში.**

**პარიზი.** სამთამადნო რაიონში დღეს მშვიდობიანობა იყო. მოხდა რამდენიმე მანიფესტაცია.

**პარიზი.** საფრანგეთის მაღაროების მუშებმა მუშაობა განაახლეს.

## რ უ ს ე თ ი

**პოლიტიკური საქმე.**

**მოსკოვი.** სამოსამართლო პალატაში წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით დაიწყო კოლომენის მაზრის ს. [illegible] საზოგადო ბიბლიოთეკის გამგე [illegible] მუთალ სლადკის და სტუდენტ მუზანოვის საქმის გარჩევა, რომელთაც ჰბრალდებათ რევოლუციონურ თხზულებათა შენახვა და გავრცელება და ხელმწიფის შეურაცყოფა.

**მაღაროში მიწის ჩამონგრევა.**

**ნოვოჩერკასკი.** ეკატერინოსლავის სამთო საზოგადოების მაღაროში მიწა ჩამოწვა და ათი მუშა დაიტანა.

**საეპარქიო სასწავლებელში კურს-დამთავრებულთა უფლება.**

**პეტერბურგი.** სინოდის ობერ-პროკურორმა მინისტრთა საბჭოში კანონმდებლობითი მოსაზრება წარადგინა, რომლითაც საეპარქიო სასწავლებლის მე-7-ე და მე-8-ე დამატებითი კლას ჩინებულად კურს-დამთავრებულთ აღმზრდელის წოდება ენიჭებათ.

**სიძველეთა აღმოჩენა.**

**ვარშავა.** იმპერატორის სასახლის საწყობში აკადემიკოსს ვალდბახერს 82 ძველი რომაული ბრელიეფი აღმოუჩენია. ბრელიეფებს პეტერბურგში წაიღებენ.

## პასუხად ბ-ნ იაკობ გოგებაშვილს*)

(წერილი რედაქციის მიმართ)

დიდის რიხით გამოილაშქრა ჩვენმა მხცოვანმა პედაგოგმა წარსულ წლის დამლევს იმერეთის საეპარქიო საბჭოს წინააღმდეგ... ქვეყანას აუწყა ამ საბჭოს მოღალატეობა, ულტრა-ბიუროკრატობა... თამამად აღიარა:

იმერეთის საბჭომ ისეთი რამ ჩაიდინა, რაც მთავრობასაც ვერ გაებედნა, რასაც არავითარი კანონი არ მოითხოვდა და არ მოითხოვსო...

ჩემი პასუხი მოკლე იყო...

მე გადაჭრით დავუყენე ბ-ნ გოგებაშვილს კითხვა: **წაგიკითხავთ თუ არა** ის კანონი, რომლის გადაჭარბება დასწამეთ იმერეთის საბჭოს, ესიგი 1902 წლის სამოსწავლო გეგმა მეთქი...

ამ შეკითხვასთან ერთად რედაქციას წარვუდგინე ხსენებული გეგმა, ისე რომ ჩემ სიტყვებში ეჭვის შეტანა ყოვლად შეუძლებელი შეიქნა...

წაუხდა ბ. გოგებაშვილს „პოზიცია“!...

რაღა ეთქმოდა იმის მეტი, რომ ავჩქარდი, საქმის უცოდინრად ალალმართალ ხალხს ცილი დავწამეო...

და ასეცა სთქვა ბ-ნმა გოგებაშვილმა: **მან თვისის პირით აღიარა, 1902 წლის გეგმა არ წამიკითხავსო...**

მორჩა და გათავდა!

დამტკიცდა ცილისწამება ჩვენის მცხოვანის პედაგოგისა...

უეჭველია, ამ დასკვნას გამოიტანდა ყველა მიუდგომელი, შეგნებული მკითხველი... ამიტომ საკითხის ამ მხარეზე აღარას ვიტყვი.

მინდა მხოლოდ ორიოდე სიტყვა ვსთქვა იმ ლათაიებზე, რომლებსაც მოჰყვა ბ-ნი გოგებაშვილი თავის სიმტყუნის გასაქარწყლებლათ.—

ბ-ნი გოგებაშვილი გვაუწყებს:

მართალია, 1902 წლის გეგმა მე არ წამიკითხავს (=**კანონი არ ვიცი**)-მაგრამ ეს არც ისეთი გასაკვირველი რამ არის: ხსენებული გეგმა—ერთგვარი ლამურაა“, ვერას გზით ის „ხელში“ ვერ ჩავიგდე“, თუმცა „ბევრი ვეცადეო“...

ერთი ეს მიბრძანეთ, ბ-ნო აკობ: როგორა გგონიათ? ვისგან შესდგება ჩვენი საზოგადოება, რომ მას ასეთს საკენკს უყრით? ნუ თუ გგონიათ, ვერავინ მიგიხვდებათ თქვენს ბანზე სიტყვის აგდებასა?! თუ არა და რამ შეგადარებინათ თქვენი თავი, თქვენი **კერძო პიროვნება** იმერეთის საბჭოსთან, ამ **ოფიციალურ დაწესებულებასთან?!.**

ნუ თუ თქვენ არ იცით, რომ რაც თქვენ გეპატიებათ *) დ რითაც თქვენ შეგიძლიანთ იმართლოთ თავი, ესევე არ შეეძლო და არ შეუძლიან საბჭოს, **როგორც ოფიციალურს და-**

*) ამ წერილის დაბეჭდვა დამიგვიანდა, რადგან ყველა ქვემო აღნიშნული მასალა იმ თავითვე ხელთ არ მქონდა. თ. ჟ.

*) თუმცა, ჩემის აზრით, მცხოვან პედაგოგ და პუბლიცისტისათვის, როგორც თქვენ ჩვენი საზოგადოება გიცნობთ, შესაწყნარებელი არ არის პედაგოგიის შესახებ რომელიმე კანონის არ ცოდნა. თ. ჟ.

**წესებულებას?!** თუ თქვენ **„დაეძებდით“** (?) კანონს, ჩვენის **ხელში გვეძლეოდა**, ოფიციალურად გვეგზავნებოდა, გვებრძანებოდა მისი სისრულეში მოყვანა...

აბა, რა შესადარებელია ჩვენი მდგომარეობა?!...

ისე რომ ამ საკითხზედაც გავათავოთ დავა. ახლა, საბოლოვოდ, ნება მიბოძეთ კვლავინდებრ ერთს რაზედმე შეგეკითხოთ და თანაც ქუთათურ „კოლხიდის“ „სიმართლის მოყვარეობა“ აღვნიშნოთ. **)

ერთი ეს მიბრძანეთ: უწყით თუ არა, რომ 1902 წლის გეგმა **იმერეთის სკოლებში** მიღებულ იქნა ეპარქიალურ მეთვალყურე მ. კელენჯერიძის დროს, რომ ამ გეგმის მიხედვით შედგენილი გაკვეთილების განაწილება (ამავე მ. კელენჯერიძის მიერ ხელ-მოწერილი) ყველა იმერეთის სკოლებში დარიგებული იყო და ახლაც ბევრგან კედლებზე გაკრულია? უწყით თუ არა ყველა ეს, ბ-ნო იაკობ? და თუ უწყით, რაშ გატქმეინათ, სანთლით დავეძებდი ამ „პედაგოგიურ ღამურას“ და ვერსადა ვნახეო?! რაღა ბევრი ძებნა იყო საჭირო?! მიიწერებოდით იმერეთის ერთ-ერთს სკოლაში და მიიღებდით საჭირო ცნობებს!!..

ასე, ბ-ნო იაკობ!

განა რომ თქვენი „ღამურა“ არც ისეთი „ღამურა“ ყოფილა, როგორც თქვენ მოგვითხრობთ! თქვენი რა მოგახსენოთ და მე-კე, როცა იმერეთის ეპარქიაში დამნიშნეს მეთვალყურედ, ყველგან წინ მეჩხებოდა... განა რომ ეს ისეთი ღამურა ყოფილა, რომ დღისითაც უფრენია!

აბა ახლა გამოიცანით:

ვის მეცადინეობას უნდა მივაწეროთ, რომ ამ „ღამურას“, რომელიც ჩემს იმერეთის ეპარქიაში დანიშვნის დროს თამამად დაფრინავდა იქაურ სკოლებში, ამ ჟამად, როგორც ამას ჩემი მტერ-მოყვარე „კოლხიდელებიც“-კი მოწმობენ, დღეს აღარსად გაუქაჯანია და მასზე აღარსად არა ისმის-რა?! მერწმუნეთ, ამის გამოცნობა სჯობია საკუთარ ნაწერებზე ქექა-ქუხილის გამართვას: თუ დაგავიწყდათ, მოიგონეთ ამა და ამ დროს ამა და ამ გაზეთში ესა და ეს წერილი დავბეჭდე, სადაც ტყავი გავაძრე ვოსტორგოვისეულ გეგმებსაო...

მოგონებებზე ნუ მიდგება საქმე, თორემ მეცა მაქვს ბევრი რამ მოსაგონარი: ამ ჟამად თავს შევიკავებ, ვიტყვი მხოლოდ რომ ჩემის აზრით გაზეთის ფურცლებზე ბევრათ ადვილია ქექა-ქუხილი, ვიდრე **ოფიციალურ ქაღალდებში...** და თუ ამაზე დამეთანხმებით, გთხოვთ კეთილ ინებოთ გადაავლოთ თვალი თუნდ ჩემის თავმჯდომარეობით შემდგარ კომისიის მიერ შემუშავებულ იმერეთის და გურია-სამეგრელოს საეკლესიო სკოლების გეგმის შეცვლის პროექტს. **წაგიკითხავთ თუ არა ეს პროექტი** (1905 წელს დაწერილი)? და თუ წაგიკითხავთ, სინიდის ქვეშა სთქვით: ჩამოუვარდება თუ არა ის თავის „რადიკალობით“ თქვენს სახელმძღვანელოებებსა...

**თ. ჟორდანია.**

***) როგორც მოგეხსენებათ, „კოლხიდამ“ თავის წმიდა მოვალეობათ ჩასთვალა წიხლი ეკრა ჩემის წერილისათვის და ქვეყანას აუწყა; 1902 წლის გეგმა იმერეთის სკოლებში არას დროს არ მოქმედებდაო. **თ. ჟ.**

**) ამ განაწილების ერთ-ერთს ცალს ვუგზავნი ამასთანავე რედაქციას. **თ. ჟ.**

## თეატრი და ხელოვნება

**ბაქო.** 24 თებერვალს ბაქოელმა სცენის-მოყვარეებმა წარმოდგენა დაიწყეს საღამოს ათის ნახევარზე და თუმცა ანტრაქტები ძალზე შეამოკლეს, მაგრამ მაინც დაამთავრეს ნაშუაღამევის ორის ნახევარზე. პირველი არ გეგონოთ ეს, მუდამ ასე ყოფილა. აქედან თვითონ მკითხველიც კარგად მიხვდება, რა თვალით უყურებენ სცენის-მოყვარენი და მათი რეჟისორი თეატრში მოსიარულე საზოგადოებას: არავითარი პატივისცემა იმ ხალხისადმი, რომელიც თეატრის დარბაზს ავსებს და რომელიც, ვინ იცის, უკანასკნელ გროშს იმეტებს, ოღონდ ქართული წარმოდგენა ნახოს. სცენის-მოყვარენი ალბად ასე ფიქრობენ: ჩვენ უსასყიდლოდ ვმუშაობთ, ხალხისათვის ვწვალობთ და ვშრომობთ, ამიტომ მოვალენი არა ვართ დროზე დავიწყოთ და დროზე გავათავოთ, საზოგადოდ ის გავაკეთოთ, რაც პროფესიონალურ არტისტებს მოეთხოვებათო. ძალიან შემცდარი აზრია: ის კაცი თუ ქალი, რომელიც საზოგადო ასპარეზზე გამოდის სამოქმედოდ, ამით უკვე ტვირთულობს იმ მოვალეობის ასრულებას, რასაც ესა თუ ის ასპარეზი აკისრებს. საზოგადოება მოვალეა დააფასოს უანგარო მუშაკის მოღვაწეობა, მაგრამ თავის მხრით ეს უკანასკნელი ეს უკანასკნელიც მოვალეა პატივისცემით მოეპყრას საზოგადოებას. თეატრი საზოგადო ასპარეზია, ხოლო სცენის-მოყვარე—საზოგადო მოღვაწე, ამიტომ უფლება გვაქვს მოვთხოვოთ სცენის მოყვარეს მოიქცეს ისე, როგორც საზოგადო მოღვაწეს შეეფერება.

წინათაც გვითქვამს და ეხლაც ვიმეორებთ, რომ ქართულ იაფ-ფასიან წარმოდგენებზე აქ უმეტესად ხელმოკლე ხალხი დაიარება. ბევრია ისეთი, რომელიც სამი და ოთხი წლის ბავშვი მოჰყავს თეატრში. რაც უნდა უვიცი დედა იყოს, ალბად იმასაც ესმის, რომ არ შეიძლება სამი წლის ბავშვის წაყვანა თეატრში, სადაც წარმოდგენა პირველსა და ორზე თავდება. მაგრამ თუ მიჰყავს, ალბად იმიტომ, რომ სხვა გზა არა აქვს: სწყურია წარმოდგენის ნახვა, უნდა თვალის გახელა, გულის გადაყოლება, გონების განძრევა და რაკი უსახსრობის გამო მარტოხელია, ბავშვი თან მიჰყავს. 24 თებერვლის წარმოდგენაზე ორმა უკანასკნელმა მოქმედებამ ისე ჩაიარა, რომ ბავშვების ტირილი არ შეწყვეტილა. წარმოიდგინეთ ეხლა ამ დედების მდგომარეობა: ყველა იმათ უყურებდა, უკმაყოფილებას აცხადებდა, ღ ამ რიგად სიამოვნების ნაცვლად მათ უსიამოვნება განიცადეს. უსიამოვნება ორკეცდება, თუ მხედველობაში მივიღებთ ღამის ორსაათზე შინ დაბრუნებას.

სცენის-მოყვარენი ყველა ამას ალბად ვერა ხედავენ და ვერა გრძნობენ, თორემ, რომ გრძნობდნენ, დედებს და პატარა ბავშვებს მაინც შეიბრალებდნენ და შეძლებას მისცემდნენ, რომ 12 საათზე შინ ყოფილიყვნენ. ჩვენ არა გვჯერა, რომ კაცმა, რაც უნდა საქმეში იყოს გართული, ვერ შესძლოს თვეში ორჯელ, მარტო, ორჯელ შვიდ საათზე მივიდეს თეატრში და რვამდე მოემზადოს. თუ მართლა ეს შეუძლებელია, მაშინ გამართონ თვეში ერთი წარმოდგენა. მეტიც: ორ თვეში, სამ თვეში ერთი წარმოდგენა, მაგრამ კარგი, რადგან ერთი კარგი სჯობია ათას ცუდსა და უხეიროს.

ხოლო 24 თებერვლის წარმოდგენამ რომ უხეიროთ და სუსტად ჩაიარა, ამაზე ყველა დამსწრე დამემოწმება. ამ დღეს წარმოადგინეს ვ. გუნიას „და-ძმა“. პირველ მოქმედებას კიდევ არა უშავდა-რა, მაგრამ შემდეგ და შემდეგ „აირია მონასტერი“ და ბოლოს ხომ—ბოდიშს ვიხდი სცენის-მოყვარეთა წინაშე-ნამდვილი დომხალი გამოვიდა. უპირველეს ყოვლისა, წარმოდგენას არ ეტყობოდა რეჟისორის ხელი და თვალი: ყველა თავისთვის ლაპარაკობდა, თავისთვის იჯდა და ოცნებობდა, თავისთვის შემოდიოდა და გადიოდა. უბედურება მეორე მოქმედებიდან დაიწყო. ამ მოქმედებისათვის რეჟისორს ეშოვნა სასწაულმოქმედი ხელადა. ხელადა ძალიან პატარა იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ პატარა ხელადა ღვინომ ძალზე გამოათრო თვითონ მასპინძელი ოტია ჯოლია და ოსმალეთის სამივე წარმომადგენელი. ერთ-ერთი ამათგანი—ყარა-ოღლი თუ ჯანვერდი ისე დაითრო, რომ მეხუთე მოქმედებაშიც-კი ბარბაცებდა. უფრო მეტიც: ძალზე დაათრო ახალგაზრდა ტყვე, რომელიც მეორე მოქმედების ნადიმს სულ არ დასწრებია და მხოლოდ მეოთხე მოქმედებაში (საკანში) გამოვიდა. მეხუთე მოქდებაში თავიდანვე გააღეს ყველა კარი და ფანჯარა, თითქოს წითელი პარასკებია და საალდგომოდ ჰაერსა სწმენდენო. ამავე მოქმედებისთვის რეჟისორს ერთი „ფიშტო“ ეშოვნა და ისეთი ჭახა-ჭუხი აუყენა, რომ ყველაფერი გადაავიწყდა. ვერ გაიგო, მაგალითად, როგორ გაიქცნენ ერთი საათით ადრე ტუსაღები. თუ არა ბ-ნი ქვიშხეთელი (მსახურის როლის ამსრულებელი), საქმე ცუდად გათავდებოდა, მაგრამ ამ ენა და ჭკუა მახვილმა კაცმა უცბად მოისაზრა ყველაფერი და ტუსაღები ხელ-ახლა დაამწყვდია. სულ ბოლოს ფაღავამ ბ-ნმა მატარაძემ—კინაღამ დაახრჩო ოტია ჯოლია—ბ-ნი თალაკვაძე. ალბად მატარაძეს გული მოუვიდა—ასე გვიან რად თავდება წარმოდგენაო, და რეჟისორის ახრჩობის ნაცვლად, თალაკვაძეზე იყარა ჯავრი...

ასე გათავდა ეს საარაკო წარმოდგენა. ერთი-ორი ასეთი წარმოდგენა კიდევ და ჩვენი სცენის-მოყვარენი სამუდამოდ მოიხვეჭენ სახელს...

უკვე ვწერდი, რომ აქ ბ-ნ ჩაგუნავას ლოტბარობით შესდგა მომღერალთა გუნდი. ამ გუნდმა 23 თებერვალს ბალაჯარაში გამართა კონცერტი. შესრულდა ქართული ხმები, ჩაწერილი ალ. კავსაძის, ფ. ქორიძის, ზ. ჩხიკვაძის, კლენოვსკის, და სხვათა მიერ. ხალხი საკმაოდ დაესწრო. ბ-ნი ჩაგუნავა აპირებს, ამ ცოტა ხანში კონცერტები გამართოს ბალახანაში და ბაქოში.

„სახალხო გაზეთის“ მკითხველებმა უკვე იციან ვინმე გოლოვაჩევის „საქმენი საგმირონი“. ამ გოლოვაჩევს ყური მოუკრავს, რომ ქართველები თამარ მეფის შვიდასი წლის საიუბილეოდ ემზადებიანო და ერთ მშვენიერ დღეს ბაქოს ქუჩები საჟენიანი აფიშებით აავსო: 23 თებერვალს ბაქოში გაიმართება თამარ მეფის იუბილეიო. ქართველებმა ამ აფიშის წაკითხვისათანავე პირი დააღეს: ყველას გაუკვირდა, როგორ იმართება იუბილე ბაქოში მაშინ, როცა ტფილისსა და ქუთაისში ჯერ მხოლოდ კამათია გაზეთის ფურცლებზე ამ იუბილეის შესახებაო. წ.-კ. საზოგადოების ადგილ. განყოფილების გამგეობამ საგანგებო კრება გამართა, თავისი აღშფოთება გამოსთქვა გოლოვაჩევის საქციელის გამო და სხდომის დადგენილება ადგილობრივ გაზეთებს გადასცა. „კასპი“-მაც ცხარე წერილი დაბეჭდა ბ-ნ გოლოვაჩევის წინააღმდეგ. შედეგად ყველა ამას ის მოჰყვა, რომ ადმინისტრაციამ აკრძალა ამ „იუბილეის“ გამართვა. აფიშებში სხვათა შორის გამოცხადებული იყო, რომ იუბილეიში მონაწილეობას იღებს „ცნობილი ქართველი პრიმადონა ქ-ნი კავანიერიძე და მისი ძმა ალბერტი“-ო. თურმე ნუ იტყვით, ეს „პრიმადონა კავანიერიძე და მისი ძმა ალბერტი“ ყოფილან საეჭვო ყოფაქცევისა და ზნეობის ხალხი-ტომით სომეხნი, და აი ეს ვაჟბატონები აპირებდნენ თურმე თამარ მეფის იუბილეის გამართვას ბაქოში!

**ქუთაისი.** 24 თებერვალს, ადგილობრივ ქართველ მსახიობთა ჯგუფმა წარმოადგინა მსახიობის ი. ბარველის მიერ შოთას „ვეფხვის ტყაოსნიდან“ გადმოკეთებული პიესა „ვეფხის ტყაოსანი“, სურათები 6 მოქმედებად. პიესის სათაურმა, რომელიც ვეებერთელა ასოებით იყო გამოჭიმული აფიშებში, თეატრში დიდძალ საზოგადოებას, განსაკუთრებით ახალგაზდობას, მოუყარა თავი: ბევრს, უთუოდ, ეგონა, დიდებული პოემიდან გადმოკეთებული პიესა საყურადღებო იქნებოდა. პირადად ჩვენ კი წინადვე დარწმუნებული ვიყავით, რომ გადმოკეთებული მხოლოდ დაამახინჯებდა იმ ხელისხელ საგოგმანებელ მარგალიტებს, რომელიც შოთას კურთხეულ მარჯვენას უხვად გაუბნევია ამ პოემაში. ჩვენი ულრმესი რწმენით, შოთას პოემის „ვეფხის ტყაოსნის“ დრამად გადმომკეთებელი ისეთივე ზეგარდმო ნიჭით ცხებული გენიოსი უნდა იყოს, როგორიც თვით ავტორი იყო, რომ ამ უბადლო ქართულ ნაწარმოებს არ დაეკარგოს თავისი მხატვრული სიმშვენიერე. და რადგანაც განგებ ასეთი გენიოსები აღარ ძოგვცა, ამიტომ უმჯობესი იქნებოდა—ეს ჩვენი ეროვნული განძი სულ ხელუხლებელი, შეუმწიკვლელი დარჩეს. უთუოდ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ და ახლაც ხელმძღვანელობენ ჩვენი ნიჭიერი მწერლები და დრამატურგები, როგორც: დავით და გიორგი ერისთავები, ილია, აკაკი, ცაგარელი, გუნია, შიუკაშვილი და სხვანი, რომ ვერ ბედავდენ „ვეფხის-ტყაოსნის“ ხელის ხლებას. ბ-ნს ბარველს კი სულ დაივიწყებია თავდაბლობა, აუღია და ხელად გამოუცხვია დრამა! ამას წინად ერთს გულის შემზარავ „ქართულ ისტორიულ საღამოს“ დავესწარით საზოგადო საკრებულოში, რომლითაც მეორე მსახიობი, უფრო გამოცდილი და დამსახურებული, გაუმასპინძლდა ქუთაისის საზოგადოებას. ნუ თუ მის მიერ დამსახურებულმა „დაფნის გვირგვინმა“ წაახალისა ბ-ნი ბარველი! საკვირველია!..

რა უნდა ვუწოდოთ მის მიერ გადმოკეთებულ სურათებს, თუ არა პროვინცია, მკრეხელობა ჩვენი ერის „წმინდათა-წმინდისა“?!. ნუ თუ არ იცის ბ-ნმა ბარველმა, რომ პიესის დასაწერად, თუ გადმოსაკეთებლად (და არა გადმოსამახინჯებლად) სცენის სიყვარულთან ერთად საჭიროა საზოგადო განვითარებაც.

საჭიროა, ჩვენმა საზოგადოებამ ერთხელ და სამუდამოდ დაჰგმოს და აღაგმოს ზოგიერთ მადა აშლილ პირთა ამგვარი თავხედური საქციელი.

## წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო ჩემის მხრით მის მაღალ-ღირსებას არქიმანდრიტს მ. პიროსს, რომელმაც კეთილ ინება და გამოუწერა რწმუნებულს ჩემდამი სამრევლო სკოლას ჟურნალი „ნაკადული“ მთელი წლით.

სოფ. ხაშმის სამრევლო სკოლის მასწავლებელი **მალვა ჯაოშვილი.**

პატივცემულო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო ბ-ნ ივანე ნიკოლოზის ძე ზედგენიძეს, რომელმაც გამოუწერა ნაგომრის (ოზურგეთის მაზრა) სამრევლო სკოლას საბავშვო ჟურნალი „ნაკადულის“ ორივე გამოცემა მთელის წლით.

პატივისცემით ნაგომრის სკოლის მასწავლებელი.

**მარო გრიგორაშვილი.**

## ჩვენი ფოსტა

**ხარაგოული.**

**ბ-ნ რისხვას.** მიჰმართეთ პირადად.

**ქუთაისი. ბ-ნ სერგეი ჭინჭველაშვილს.** მიჰმართეთ პირადად თუ გადაჭრით უარს გეტყვით, მაშინ მოათავსეთ შესაფერი წერილი.

რედაქტორ-გამომცემელი **ნ. კურდღელაშვილი.**

## გამოსადეგი ცნობა

**მატარებელთა მიმოსვლა**

**ზამთრობით** (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)

(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 38 წ. არის წინ).

**ტფილისიდან გადის.**

**ბათუმისაკენ:** 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 3 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში ღამ. 1 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ. № 6, I—III კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 1 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

**ბორჯომისაკენ:** 1) სამგზ. მატარებ. № 9/66, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:** 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 11 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 1 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, I—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბათომიდან;** 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

**ბაქოდან:** 1) სამგზ. № 5, I—III კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 07, IV—III კლ. ღამის 9 ს.

**ერევან-ჯულფიდან:** საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზ. № 61/ 0, I—II კლ. დილ. 8 ს.

**შენიშვნები:** 1) გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის I და მე-2 მატარებლის მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტიანია (საკუთარი. საწოლებით).

**უფასო საექიმო დახმარება**

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | **გ. ა. გედევანიძე** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| 5—6 | **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816). |
| 8—9 | **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715). |
| 10, 11—12 | **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715) |

**გემების მიმოსვლა შავ-ზღვაზე.**

(ზამთარში).

**რუსეთის საზოგადოებისა.**

**ბათომიდან გადის:** ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

**სახალხო გემები** ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

**სახალხო-საქონლის** გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

**ქალაქის საავადმყოფოები**

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არია ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინოს ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

**სასანიტარო ექიმები**

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველან შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩ. 5 და მალაკანის მოედანზე.


## განცხადებანი

**სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,**

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11--12 ს.-მდე. ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.**

(ტ. 1646.28)

**ყოველ-დღე მოგვდის:**

ახალ-ახალი წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კომარი, სალიანის თევზეულობა შამაია და ყოველ გვარი გამოხსული თევზი

**თევზის მრეწველნი ძმ. ძეგველოვები**

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.

ტელეფონი № 712.

(წ.—1131—3)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. [illegible] დილით 8 [illegible] ავადმყოფებს არ იღებს. [illegible]

**სამკურნალო ექიმთა საზოგადოებისა**

**მუდმივის საწოლებით.**

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფო პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

**ალაჯანოვი**—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

**ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგან, ნევრვებს სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.

**კიმონტი გ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

**მაგაკიანი გ. ნ.**—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ სათ.

**ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა**—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან, ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

**წამლობა „606“-ით.**

(100—1615—30)

**ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დილით:**

**„606“—11—12 ს. შეზხაპუნება კონსულტატიურად.**

**გ. ა. ნავასარდიანი;** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1}/_{2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

**კბილის** საექიმო კაბინეტი **ი. ა. ფრანკისა** 9—2 ს. წამლობა, პლომბის გაკეთება და ხელოვნური კბილების ჩასხმა.

**საღამოთი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

**ი. ა. ფრანკი:** 5—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **გ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. 1074.27)

**1912 წ. მიიღება ხელის მოწერა დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულ“-ზე**

**წელიწადი მერვე.**

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**

**24** წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; **12** წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

**დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.**

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3-მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскiй прос. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ აბელედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან **განჯაში** ბ. ამბოქაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

(წ.—1627—35 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**


ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა“.